დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ოქმი N4, 25. 06.2011

ვამტკიცებ: ფაკულტეტის საბჭოს თავმ–ე, დეკანი, პროფ. ნ. ბელქანია:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პოლიტიკის მეცნიერებაში
(Political Science Master of Arts (M.A.) Program)

თბილისი
2011-2012

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა[1]
პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება:
პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა
Political Science Master of Arts Program

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი
Master of Arts in Political Science

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

სწავლების ენა: ქართული ენა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომავალი აკადემიური პერსონალის და პრაქტიკოსი-ანალიტიკოსების მომზადება. სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი საფუძველი მისცეს სტუდენტს პოლიტიკის მეცნერების კვლევის მეთოდებში, თეორიებსა და სუბ-დისციპლინებში, რათა ამ გზით მოამზადოს ისინი ერთი მხრივ პრაქტიკული საქმიანობის, მეორე მხირვ კი სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისათვის.

სამაგისტრო დონეზე სწავლა საბაკალავრო დონის სწავლებისაგან განსხვავებით სტუდენტისაგან მოითხოვს გაცილებით უფრო ინტენსიურ მუშაობასა და ვარჯიშს. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აწვდის და უვითარებს გაცილებით ფართო და ამავე დროს სპეციფიკურ ცოდნას პოლიტიკური მეცნიერების ცალკეულ სუბ-დისციპლინებში. სტუდენტებს უვითადებათ მაღალი დონის კვლევითი უნარ-ჩვევები, სწავლობენ, თუ როგორ გაანალიზონ პრობლემები როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს, რომელთაც შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესში: სტუდენტები იღებენ კარგ თეორიულ მომზადებას პოლიტიკის მეცნიერებაში; ეჩვევიან კრიტიკულ აზროვნებას; კარგად იცნობენ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას; იცნობენ შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტებს; პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს პოლიტიკის ფენომენის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები; პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს პოლიტიკაში პროფესიული კარიერის გასაკეთებლად აუცილებელი ცოდნითა და ხერხებით.

---

[1] პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის # 633 ბრძანებით. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვენენ ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტის პოლიტიკის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად ემერიტუს-პროფესორი, დიდი ბრიტანეთი), სტივენ ჰარისი, (კარლეტონის უნივერსიტეტის პროფესორი, კანადა) და პიტერ ვან ჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, პოლიტიკის დოქტორი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდატებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამის შედგენისას დეპარტამენტის წევრები ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკის მეცნიერების ეროვნული ასოციაციების მიერ ევროპის კონფერენციაზე შემუშავებული რეკომენდაციებით, რომელიც ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით პოლიტიკის მეცნიერების სწავლებაში უმაღლეს სასწავლებლების სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს.

ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამა იძლევა ათვისებული თეორიული ცონდის პრაქტიკაში გამოყენების საუკეთესო საშუალებებს და ქმნის კვლევის წარმოების თვალსაზრისით პოლიტიკის მეცნიერების სფეროში ახალი ცოდნისა და მტკიცებულებების წარმოების შესაძლებლობებს დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა და სხვა ანალიტიკური პროდუქციის მეშვეობით, რომელიც იწარმოება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კოორდინირებული მუშაობის შედეგად (სტუდენტები ჩართული იქნებიან კონკრეტულ კვლევით პროექტებში);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში;
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის შედეგები;
- სამაგისტრო პროგრამის სასპეციალიზაციო გამოცდა პოლიტიკის მეცნიერებაში (საგამოცდო საკითხები იხილეთ დანართში # 2.3.)

სწავლის შედეგი:

ცოდნა-გაცნობიერება	აქვს სისტემური ცოდნა როგორც ზოგადად პოლიტიკური მეცნიერების, ისე პოლიტიკის მეცნიერების მის მიერ არჩეული კონცენტრაციის (პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი; შედარებითი პოლიტიკა: რუსეთი და დსთ-ს ქვეყნები; კავკასია შედარებით პერსპექტივაში) ფარგლებში არსებული თეორიების, უახლესი მიგნებების, სამეცნიერო დისკუსიების თემატიკის და დისკუსიებში ჩართულ მხარეთა არგუმენტების კვლევების შესახებ, აქვს კვლევის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის სირღმისეული, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	პოლიტიკისა და არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში მიღებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეუძლია საკვლევი საკითხის მკაფიო იდენტიფიცირება, კონტექსტუალიზაცია, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრა და დასაბუთება, მასალის მოძიება, სისტემატიზაცია, კვლევის შედეგების პრეზენტაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით. შეუძლია პოლიტიკის პრობლემატიკაზე კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება. აქვს პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის გამოყენების უნარი, რათა ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, ხედვა პროფესიული, სოციალური და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით. შეუძლია თავისი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო არგუმენტაცია შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან. პროფესიულ დონეზე ფლობს პოლიტიკის მეცნიერების რაოდენობრივი, თვისებრივი და გამოყენებითი კვლევის ყველა ძირითად მეთოდს და აქვს უნარი, ნებისმიერი კონკრეტული პოლიტიკური პრობლემის ემპირიულად შესწავლის მიზნით, შეარჩიოს მოცემული კვლევისათვის რელევანტური კვლევის მეთოდი. მაგისტრს გააჩნია მიღებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეუძლია თავი გაართვას სირთულეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, რომლებშიც მისი ცოდნისა და მოსაზრებების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებიც აისახება; ამ ცოდნას იგი იყენებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. აქვს პოლიტიკის, ასევე ზოგადად სოციალურ მეცნიერებათა სფეროში ელექტრონული საძიებო სისტემებისა და ბაზების გამოყენების უნარი. აქვს პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ხედვა, რომელსაც იყენებს პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტისას.
დასკვნის უნარი	აქვს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის სინთეზირება და მათ საფუძველზე დასკვნების შემოთავაზება. საკითხების განხილვა ინტერდისციპლინარული პერსპექტივით, მკაფიოდ არგუმენტირებული და მონაცემებზე დაყრდნობილი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს.
კომუნიკაციის უნარი	იცნობს და თავისუფლად იყენებს სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ აპრობირებულ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სტატისტიკურ პროგრამებს (SPSS, STATA); აქვს კვლევის შედეგების წერითი და ვერბალური პრეზენტაციის უნარ-ჩვევები. არის ინგლისური ენის B2 დონეზე მცოდნე და აქვს პოლიტიკის ცნებით-კატეგორიული

	აპარატის ინგლისურ ენაზე მფლობელი. ცოდნის გამდიდრება, სემინარული მუშაობა, სემესტრული ნაშრომების პრეზენტაციის პრაქტიკა სტუდენტს უყალიბებს საკუთარი ცოდნისა და გაწეული მუშაობის შედეგების დასაბუთებული წარმოჩენის, სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობის უნარს.
სწავლის უნარი	აქვს უნარი თავად დაგეგმოს და განახორციელოს სიცოცხლის მანძილზე სწავლა როგორც პოლიტიკის, ისე მის მიერ არჩეულ სფეროში, ადეკვატურად აფასებს საკუთარ სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გაუმჯობესოს მიღებული შედეგი. აქვს უნარი მომავალში დამოუკიდებლად ან მინიმალური ხელმძღვანელობის ქვეშ განახორციელოს კვლევითი პროცესი, ფლობს კვლევითი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელ ადექვატურ ინდივიდუალურ რესურსსა და კომპეტენციას და აქვს მათი გაუმჯობესების უნარი. აქვს პოლიტიკური მეცნიერების სფეროში გამოქვეყნებული უახლესი ლიტერატურის ათვისების, სწავლისა და კვლევის პროცესში მისი მუდმივი გამოყენებისათვის მზაობა.
ღირებულებები	მაგისტრს აქვს პოლიტიკის სფეროს პრაქტიკული გაუმჯობესების ღირებულებითი აღქმა და შეუძლია ჩაერთოს დემოკრატიული მართვის განხორციელებასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში პრაქტიკული თუ კვლევითი საქმიანობის საფუძველზე.

შედეგების რუქა: იხ.დანართი

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ვერბალური/წერითი
2. წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა
3. დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPP მასალების მეშვეობით)
4. ახსნა–განმარტებითი მეთოდი
5. დისკუსია/დებატები,
6. ჯგუფური მუშაობა
7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)
8. შემთხვევის ანალიზი (case-study)
9. გონებრივი იერიში (Brain storming)
10. როლური და სიტუაციური თამაშები
11. ელექტრონული სწავლება (ჰიბრიდული) - თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა: იხ.დანართი

პოლიტიკის მეცნიერებისა სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

პოლტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა შედგება:

1. პორგრამის სავალდებულო კურსებისგან
2. პროგრამის არჩევითი კურსებისგან
3. სასპეციალიზაციო მუდულისგან, რომლის ფარგლებშიც შემოთავაზებულია 3 არჩევითი მოდული
   - პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი;
   - შედარებითი პოლიტიკა:რუსეთი და დსთ-ს ქვეყნები;

- შედარებითი პოლიტიკა: კავკასია შედარებით პერსპექტივაში

სტუდენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მესამე სამესტრში წყვეტს შემოთავაზებული სასპეციალიზაციო მოდულებიდან ერთ-ერთს და მასში სპეციალიზირდება.

პოლტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკასა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

პოლტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კრედიტები:

პოლტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

პროგრამის სავალდებულო კურსები	45 კრედიტი
პროგრამის არჩევითი კურსები	20 კრედიტი
არჩევითი სასპეციალიზაციო მოდულები	20 კრედიტი
პრაქტიკა	5 კრედიტი
სამაგისტრო ნაშრომი	30 კრედიტი
სულ	120 კრედიტი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა გულისხმობს 120 კრედიტის დაგროვებას და ითვალისწინებს: 45 კრედიტის მოცულობის პროგრამული სავალდებულო კურსების გავლას; პროგრამის არჩევითი კურსების საფუძველზე 20 კრედიტის დაგროვებას; სასპეციალიზაციო მოდულის ფარგლებში შემოთავაზებული სამი არჩევითი მოდულიდან ერთ-ერთის არჩევასა და მასში 20 კრედიტის აღებას. სამაგისტრო პროგრამისათვის სავალდებულოა პრაქტიკის გავლა არჩეული სპეციალობის შესაბამის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციაში (5 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) დაცვა.

დასაქმების სფეროები: სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასქმების პოტენციური სფერო შეიძლება იყოს:

- კვლევითი ორგანიზაციები
- საჯარო დაწესებულებები
- არასამთავრობო სექტორი
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- კერძო სექტორი
- მასმედია

დამატებითი ინფორმაცია: პროგრამას შეუძლია 25 სტუდენტის მომსახურეობა.

სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები): იხ.დანართი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

	გვარი, სახელი,	**აკადემიური თანამდებობა**	**ხარისხი**
პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი			
	მაცაბერიძე მალხაზ	სრული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	კუხიანიძე ალექსანდრე	სრული პროფესორი	ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
	დუნდუა სალომე	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	მაჭარაშვილი ნანა	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	აბაშიძე ზვიად	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	დოლიძე ვალერიან	ასისტენტ-პროფესორი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
	თურმანიძე კობა	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	ქარაია თამარ	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	წურწუმია ალექსანდრე	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თსუ-ს აკადემიური პერსონალი			
	ნინო ჩიქოვანი	სრული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
	მაცაბერიძე დავით	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	დიმიტრი დოლაბერიძე	ენების ცენტრის პედაგოგი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების ცენტრი
დოქტორანტურის სტუდენტები (სასწავლო პრაქტიკა)			
	თეთრაძე ლიკა	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	დარბაიძე ეკატერინე	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	წურწუმია მაია	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	ლებანიძე სოსო	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	წურწუმია მაია	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	ნოზაძე თორნიკე	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
მოწვეული პერსონალი			
	ალექსანდრე სვანიშვილი	მოწვეული პერსონალი	ადვოკატი, ექსპერტი ადგილობრივი თვითმმართველოის საკითხებში
	მიხეილ თოქმაზიშვილი	მოწვეული პერსონალი	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
	მიხეილ შავთვალაძე	მოწვეული პერსონალი	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი. აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის მკვლევარი
	მელაშვილი თამთა	მოწვეული პერსონალი	გენდერის მაგისტრი, ცენტრალრი ევროპის უნივერსიტეტი.
მოწვეული პროფესორები			
	პალ ტამაში	Professor of Communication	Ph.D. in Sociology, Director of the Institute of Sociology, Hungarian Academy of Sciences, Budapest
	ლაშა ჭანტურიძე	Research Associate	Ph.D. in Political Science, The Centre for Defence and Security Studies, the University of Manitoba, Winnipeg, MB,

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით:

უნივერსიტეტის რესურს-ცენტრები
თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი
ელექტრონული ჟურნალები და ბაზები
უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბილიოთეკა
სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი
ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის მიერ გადმოცემული 1500 დასახელების წიგნი

პროგრამის დამტკიცების აქტი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტტის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების პროფესორთა 2011 წლის 16 ივნისის სხდომის ოქმი.

დანართი # 2.1: პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის შედეგების რუკა

№	სასწავლო კურსის სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება;	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;	დასკვნის უნარი;	კომუნიკაციის უნარი;	სწავლის უნარი;	ღირებულებები.
პროგრამისთვის სავალდებულო კურსები	პოლიტიკური მეცნიერება: ძირითადი თეორიები, ახალი მიმართულებები და პერსპექტივები	X	X			X	
	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში	X	X		X	X	
	სახელმწიფო პოლიტიკის მიკრო-მაკრო ეკონომიკური პრინციპები	X	X		X	X	
	რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები	X	X	X	X	X	
	თვისებრივი კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	
	საჯარო პოლიტიკის ანალიზი	X	X	X	X	X	
	სპეციალიზირებული უცხო ენა I	X	X		X	X	
	სპეციალიზირებული უცხო ენა II	X	X		X	X	
პოლიტიკის მეცნიერების სპეციალიზაციის კურსები	კავკასია გლობალურ პერსპექტივაში	X	X	X	X	X	
	პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები	X	X	X		X	X
	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	X	X	X		X	
	უსაფრთხოების სტრატეგიის თეორია და პრაქტიკა	X	X			X	
	რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა	X	X	X		X	
	პოლიტიკური კონსულტირება	X	X	X		X	X
	პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია	X	X	X		X	X
	ლობიზმი და ინტერესთა ჯგუფები	X	X	X		X	
	საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია	X	X	X		X	X
	რუსეთის პოლიტიკა: პოსტსაბჭოთა პერიოდი	X	X	X		X	
	პოსტკოლონიალიზმი და პოსტსოვეტიზმი	X	X	X		X	X
	პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	X	X	X		X	
	კულტურა და რელიგია კავკასიაში	X	X		X		
	კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები	X	X			X	
	სამაგისტრო კვლევის დიზაინი	X	X	X	X	X	X
	სამაგისტრო ნაშრომი			X	X	X	X

დანართი # 2.2: პროგრამის სტრუქტურა

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმა (120 კრედიტი)									
№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	საკონტაქტო/ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ლექტორი/ ლექტორები	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება სემესტრები			
						I	II	III	IV
პროგრამის სავალდებულო კურსები (45 კრედიტი)									
	პოლიტიკის მეცნიერება: ძირითადი თეორიები, ახალი მიმართულებები და პერსპექტივები	სავალდებულო	60/65	მ.მაცაბერიძე ს.დუნდუა ზ.აბაშიძე	5	X			
	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში	სავალდებულო	60/65	მ.მაცაბერიძე მ.შავთვალაძე	5	X			
	სახელმწიფო პოლიტიკის მიკრო-მაკრო ეკონომიკური პრინციპები	სავალდებულო	60/65	მ.თოქმაზიშვილი	5	X			
	რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები	სავალდებულო	30/95	კ.თურმანიძე	5	X			
	თვისებრივი კვლევის მეთოდები	სავალდებულო	30/95	ა.ქიტიაშვილი	5		X		
	საჯარო პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო	30/95	ნ.მაჭარაშვილი თ.ნოზაძე	5	X			
	სპეციალიზირებული უცხო ენა I-II	სავალდებულო	30/95	დ.დოლაბერიძე	10	X	X		
	სამაგისტრო კვლევის დიზაინი	სავალდებულო	30/95	ნ.მაჭარაშვილი თ.ქარაია	5			X	
პროგრამის არჩევითი კურსები (20 კრედიტი)									
	კავკასია გლობალურ პერსპექტივაში	არჩევითი	60/65	მ.მაცაბერიძე ს.ლებანიძე	5		X		
	პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები	არჩევითი	60/65	მ.მაცაბერიეძე ლ.თეთრაძე	5		X		

	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	არჩევითი	90/160	ა.კუხიანიძე	10		X		
	უსაფრთხოების სტრატეგიის თეორია და პრაქტიკა	არჩევითი	60/65	ლ.ჭანტურიძე	5		X		
	რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა	არჩევითი	90/160	მ.მაცაბერიძე ა.წურწუმია	10		X		
სასპეციალიზაციო მოდულები (20) (სტუდენტი შემოთავაზებული არჩევითი ოთხი მოდულიდან ირჩევს მისთვის სასურველ ერთ მოდულს და მასში სპეციალიზირდება. კრედიტების რაოდენობა - 20, სტუდენტს ევალება 5 კრედიტის მოცულობის პრაქტიკის გავლა მოდულის შესაბამის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციაში)									
სასპეციალიზაციო მოდული: პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი									
	პოლიტიკური კონსულტირება	არჩევითი	60/65	მ.მაცაბერიძე მ.წურწუმია	5			X	
	პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია	არჩევითი	90/160	მ.მაცაბერიძე ლ.თეთრაძე	10			X	
	ლობიზმი და ინტერესთა ჯგუფები	არჩევითი	60/65	მ.მაცაბერიძე ვ.დოლიძე	5			X	
სასპეციალიზაციო მოდული:: შედარებითი პოლიტიკა: რუსეთი და დსთ-ს ქვეყნები									
	საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია	არჩევითი	90/160	მ.მაცაბერიძე	10			X	
	რუსეთის პოლიტიკა: პოსტსაბჭოთა პერიოდი	არჩევითი	90/160	მ.მაცაბერიძე ა.კუხიანიძე	10			X	
	პოსტკოლონიალიზმი და პოსტსოვეტიზმი	არჩევითი	60/65	პ.ტამაში	5			X	
სასპეციალიზაციო მოდული:კავკასია შედარებით პერსპექტივაში									
	პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	არჩევითი	90/160	ა.კუხიანიძე	10			X	
	კულტურა და რელიგია კავკასიაში	არჩევითი	90/160	ნ.ჩიქოვანი	10			X	
	კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები	არჩევითი	90/160	დ.მაცაბერიძე	10			X	
პრაქტიკა - 5 კრედიტი. პრაქტიკა მოდულის შესაბამის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში									
	პრაქტიკა	სავალდებულო	60/65		5			X	
სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი									
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო			30				X
	სულ				120				

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

დანართი # 2.3.

საგამოცდო საკითხები:

სამაგისტრო პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

1. პოლიტიკის განსაზღვრება
2. პოლიტიკის შესწავლა
3. პოლიტიკური სისტემები
3. პოლიტიკური იდეოლოგიები
4. დემოკრატია
5. სახელმწიფო
6. ერები და ნაციონალიზმი
7. გლობალიზაცია
8. საშინაო პოლიტიკა
9. ეკონომიკა და საზოგადოება
10. პოლიტიკური კულტურა და ლეგიტიმურობა
11. წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმის მიცემა
12. პარტიები და პარტიული სისტემები
13. საზოგადოებრივი ჯგუფები, ინტერესთა ჯგუფები და საზოგადოებრივი მოძრაობები
14. კონსტიტუცია.
15. სამართალი და სასამართლო სისტემები
16. საკანონმდებლო ხელისუფლება
17. აღმასრულებელი ხელისუფლება
18. პოლიტიკური ლიდერობა
19. სახელმწიფო სამსახური
20. პოლიტიკური პროცესი და პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება

ლიტერატურა:

ჰეივუდი, ე. (2008), პოლიტიკა. თბილისი.
დენკენი, ჯ. (2007), პოლიტიკური მეცნიერება, თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

საგამოცდო საკითხების მოსამზადებად საკითხავი მასალები შეგიძლიათ მოიძიოთ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტში თსუ IV სკორპუსის (ჭავჭავაძის #14)III სართულზე ოთახი # 310